

# შპს „ჯორჯია მეტალი“

მეტალურგიული საწარმოს

სკოპინგის ანგარიში

შპს „ჯორჯია მეტალი“

დირექტორი: გ. გვენეტაძე

ტელ. 5 99 34 44 11

ზესტაფონი 2020

## შინაარსი

1.	შესავალი .....	4
2.	საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა.....	5
3.	დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური პირობები.....	22
4.	გამოყენებული ნედლეული და მასალები .....	22
5.	სამუშაო რეჟიმი და ადამიანური რესურსები.....	24
6.	ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობები .....	24
7.	ტექნოლოგიური პროცესის აღწერა.....	29
8.	ობიექტის წყალმომარაგება კანალიზაცია.....	31
9.	გამწმენდი ნაგებობები .....	32
9.1.	აირგამწმენდი სისტემა.....	32
9.2.	ჩამდინარე წყლის გამწმენდი სისტემა.....	33
10.	საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების ანალიზი.....	33
10.1.	ნულოვანი, ანუ არქმედების ალტერნატივა.....	34
10.2.	საწარმოს განთავსების ალტერნატივა.....	35
10.3.	ტექნოლოგიური ალტერნატივები .....	45
10.4.	მწარმოებლურობის შემცირება-გაზრდის ალტერნატივა .....	46
11.	საწარმოს მოწყობა-ექსპლოატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება .....	46
11.1.	ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია და კრიტერიუმები .....	46
11.2.	ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე საწარმოს ექსპლოატაციის ეტაპზე.....	49
11.2.1.	დაბინძურების წყაროები .....	49
11.2.2.	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ანგარიში.....	50
11.2.3.	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ანგარიში ინდუქციური ღუმელებით დნობისას .....	52
11.2.4.	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ანგარიში ელექტრორკალური ღუმელებით დნობისას .....	55
11.2.5.	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაზნევის ანგარიში .....	58
11.2.6.	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაზნევის ანგარიშის შედეგების ანალიზი .....	58
11.3.	ხმაურის ზემოქმედება .....	59
11.4.	ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე.....	61
11.5.	ზემოქმედება წყლის რესურსებზე.....	62

11.6.	ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები .....	65
11.7.	ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ბიოლოგიურ გარემოზე .....	65
11.8.	ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე .....	67
11.9.	ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე .....	67
11.10.	ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე .....	67
11.11.	კუმულაციური ზემოქმედება .....	68
11.12.	ადამიანების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება .....	71
12.	საწარმოს მოწყობის და ექსპლოატაციის პროცესში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი .....	72
13.	დანართები .....	73
13.1.	დანართი N1 .....	73
13.2.	დანართი N2 .....	101

## 1. შესავალი

შპს „ჯორჯია მეტალი“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. არგვეთის ტერიტორიაზე გეგმავს მეტალურგიული საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციას. დაგეგმილია რკინის ჯართის გამოსადნობი ღუმელების დამონტაჟება და სხვადასხვა კვეთის არმატურის წარმოება.

რადგან მეტალურგიული წარმოება წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს I-დანართის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, კომპანიამ 2019 წლის 24 დეკემბერს მიმართა სამინისტროს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 მუხლის შესაბამისად, შემუშავებული სკოპინგის ანგარიშით.

ანგარიშის განხილვის, ასევე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში შემოსული განცხადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით სამინისტრომ, 13/02/2020 N1693/01 წერილით მოითხოვა ხარვეზების გამოსწორება.

ზემოაღნიშნული შენიშვნებისა და ხარვეზების გათვალისწინებით, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად გაახლებული იქნა სკოპინგის ანგარიში.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1.

საწარმოს ოპერატორი კომპანია	შპს „ჯორჯია მეტალი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ზესტაფონი, სოფ. არგვეთა
საქმიანობის განხორციელების მისამართი	ზესტაფონი, სოფ. არგვეთა
საქმიანობის სახე	მეტალურგიული წარმოება
დირექტორი	გოჩა გვენეტაძე
საკონტაქტო ტელეფონი	599344411
გარემოს დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი	გოჩა გვენეტაძე
ტელეფონი	599344411
ელფოსტა	gochagveto@mail.ru
საკონსულტაციო ფირმა	შპს „სამნი“
დირექტორი	თეიმურაზ კეპულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 91 15 72 72

## 2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა.

შპს „ჯორჯიან მეტალ“-ის საპროექტო საწარმოს განთავსება დაგეგმილია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ. არგვეთას ტერიტორიაზე მისსავე საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სამ ნაკვეთზე (ნახაზი N1):

1. ნაკვეთის კოდი-32.03.49.581; ფართობი-66837 მ<sup>2</sup>;

2. ნაკვეთის კოდი-32.03.49.046; ფართობი-4598 მ<sup>2</sup>;

3. ნაკვეთის კოდი-32.03.49.483; ფართობი-25796 მ<sup>2</sup>;

სულ საპროექტო ტერიტორიის ფართობი შეადგენს 97231 მ<sup>2</sup>.

ნახაზი N1. საპროექტო ტერიტორიები.



საპროექტო ტერიტორიის წვეროთა ნუმერაცია და GPS კოორდინატები მოცემულია N2 ნახაზზე და ცხრილი N2-ში.

ცხრილი N2

წვეროთა ნომერი	GPS კოორდინატები	
	X	Y
1	332598	4666573
2	332651	4666616
3	332686	4666637
4	332738	4666639
5	332870	4666623
6	332900	4666608
7	332974	4666648
8	333136	4666463
9	333102	4666415
10	333085	4666369
11	333078	4666370
12	333068	4666349
13	333005	4666359
14	333001	4666342
15	332961	4666351
16	332813	4666421
17	332793	4666366
18	332745	4666380
19	332747	4666406
20	332714	4666418
21	332727	4666468
22	332684	4666468
23	332605	4666460
24	332599	4666564



საპროექტო ტერიტორიაზე გასულ საუკუნეში განთავსებული იყო რკინიგზის მომსახურების ობიექტები, ამჟამად შემორჩენილია ზოგიერთი ნაგებობის ნანგრევები (სურათი N1) და ერთი ამორტუზებული შენობა (ტერიტორიის დასავლეთ საზღვართან) (სურათი N2).



სურათი N1



სურათი N2

საპროექტო ტერიტორია შემოღობილი იყო მყარი, მასიური ლობით, ამჟამად ზოგან შემორჩენილია ლობის ფრაგმენტები. ტერიტორიაზე შენობების ნგრევის შედეგად დარჩენილია სამშენებლო ნარჩენები.

მისავლელი გზა შემოდის ჩრდილოეთიდან, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალიდან. ტერიტორიასთან მოდის ასევე რკინიგზის ჩიხი. მიმდებარედ განთავსებულია ენერგო-პრო ჯორჯიას გამანაწილებელი ქვესადგური, საიდანაც ელ. ენერგია მიეწოდება შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის მეალურგიულ საწარმოს და შესაძლებელია საპროექტო ობიექტის ელექტრომომარაგება.



საპროექტო ტერიტორიას ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება ხე მცენარეებით დაფარული ფერდობი (სურათი 3), საზღვართან შემორჩენილია ღობის ფრაგმენტი. ზედა ნიშნულზე განთავსებულია ყოფილი სამრწველო საწარმოთა ტერიტორიები, მათ შორის ყოფილი ღვინის ქარხანა. შემორჩენილია მხოლოდ ამორტიზებული შენობა-ნაგებობები (სურათი 4; და 5).



სურათი N3



სურათი N4



სურათი N5

საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით მდებარეობს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზა და სახელმწიფო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალი. გზისპირზე განლაგებულია სხვადასხვა დანიშნულების სავაჭრო ობიექტები და შენობა-ნაგებობები, რომელთა უმეტესობა ამორტიზებული და უფუნქციოა (სურათები 6; 7.)



სურათი N6



სურათი N7

დასავლეთით მდებარეობს სოფ. არგვეთის დასახლება (სურათი 8). საპროექტო ტერიტორიის საზღვრიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია 40 მ-ით (სურათი 9).



სურათი N8



სურათი N9

ჩრდილო-დასავლეთით განთავსებულია საქართველოს რკინიგზის ყოფილი ტერიტორია და სამრეწველო დანიშნულების ამორტიზებული შენობა (სურათი 10), სამხრეთით შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის მეტალურგიული საწარმო (სურათი 11), უფუნქციო ნავთობპროდუქტების საცავი (სურათი N12), ასევე საქართველოს რკინიგზის ცენტრალური მაგისტრალი.



სურათი N10



სურათი N11



სურათი N12

საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით განთავსებულია საასობურე მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის სადგომი.

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი რკინიგზის სადგური, არგვეთა, დაშორებულია 740 მ-ით, საწარმომდე მოდის გრუნტის გზა, ხოლო მეზობელ ობიექტამდე რკინიგზის ჩიხი.

ცენტრალური სავტომობილო გზა დაშორებულია 240 მ-ით, ტერიტორიაზე შემოდის ასფალტით მომანდაკებული გზა, რომლის სიგრძე 250 მ-ია.

უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ყვირილა განთავსებულია საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით, უახლოესი მანძილი შეადგენს 950 მ-ს.


საწარმოს განთავსების სიტუაციური გეგმა მოცემულია ნახაზზე N3 და N4-ზე.

საპროექტო საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. არგვეთა, განთავსებულია დასავლეთით. უახლოესი საცხოვრებელი სახლი ტერიტორიის საზღვრიდან დაშორებულია 40 მ-ით, საპროექტო მეტალურგიული საწარმოს გაფრქვევის მილიდან 425 მ-ით, ხოლო გამახურებელი ღუმელის გაფრქვევის მილიდან 320 მ-ით(ნახაზი 5).

დანარჩენი მიმართულებით უახლოესი დასახლება განთავსებულია სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. აღნიშნული მიმართულებით უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოს საზღვრიდან დაშორებულია 565 მ-ით, მეტალურგიული საწარმოს გაფრქვევის მილიდან 695 მ-ით, ხოლო გამახურებელი ღუმელის გაფრქვევის მილიდან 825 მ-ით(ნახაზი 6).

საპროექტო საწარმოს ირგვლივ არსებული მიწის ნაკვეთების მდებარეობა მოცემულია ნახაზებზე N7, N8 და N9, დახასიათებები ცხრილში N3.


### ნახაზი N3 - საპროექტო ტერიტორიის განთავსება



ნახაზი N4 - სიტუაციური გეგმა




ნახაზი N5- დაშორება უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე - დასავლეთით





ნახაზი N 6 . დამორება უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე სამხრეთ-აღმოსავლეთით




ცხრილი N3. საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ განთავსებული მიწის ნაკვეთების დახასიათება

N	ნაკვეთის კოდი	მდებარეობა	მფლობელი	დატვირთვა
1	32.03.49.025	საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით	ანჟელა არაბიძე	სასოფლო სამეურნეო.განთავსებულია საცხოვრებელი სახლი
2	დაურეგის ტერიტორია		---	სასოფლო სამეურნეო.განთავსებულია საცხოვრებელი სახლი
3	32.03.49.128		ვაჟა შეყლაშვილი	სასოფლო სამეურნეო.განთავსებულია საცხოვრებელი სახლი
4	32.03.49.423		ბადრი კიკნაველიძე	სასოფლო სამეურნეო.დამხმარე ნაგებობები
5	32.03.49.418		ელიკო მოდებაძე	სასოფლო სამეურნეო.თავისუფალი
6	დაურეგის ტერიტორია		-----	სასოფლო სამეურნეო.დამხმარე ნაგებობები
7	32.03.49.389		დუხუნა ხუსკივაძე	სასოფლო სამეურნეო.დამხმარე ნაგებობები
8	32.03.49.097	საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით	ბადრი გიქოშვილი	არასასოფლო.სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების მალაზია.
9	32.03.49.054		რამაზ ნინიკაშვილი	სასოფლო სამეურნეო.განთავსებულია ნანგრევები
10	32.03.49.148		შპს „როლანდი2009“	არასასოფლო.განთავსებულია სასაწყობო კაპიტალური შენობები .
11	32.03.49.042		შპს „არგვეთა“	არასასოფლო.განთავსებულია სასაწყობო კაპიტალური შენობები .
12	32.03.49.043		შპს „არგვეთა“	არასასოფლო.თავისუფალი ტერიტორია
13	32.03.49.402		გიორგი კიკნაველიძე	სასოფლო სამეურნეო.გაშენებულია ნარგავები
14	32.03.49.403		გიორგი კიკნაველიძე	სასოფლო სამეურნეო.გამოიყენება ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად
15	32.03.49.390		გელა მოდებაძე	სასოფლო სამეურნეო.გამოიყენება ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად
16	დაურეგის ტერიტორია	საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით და სამხრეთით	---	სასოფლო სამეურნეო.
17	32.03.49.239		ამირან კიკნაველიძე	სასოფლო სამეურნეო.გამოუყენებელი
18	32.03.49.587		შპს“ძველი მარანი“	არასასოფლო.ყოფილი ღვინის ქარხნის უფუნქციო შენობები
19	32.03.49.055		შპს“ძველი მარანი“	არასასოფლო.ყოფილი ღვინის ქარხნის უფუნქციო შენობები
20	32.03.49.098		შპს „ჯორჯიან მეტალ“-ი	არასასოფლო.განთავსებულია ბეტონის კვანძი
21	32.03.49.182		შპს „ზესტაფონის სათბური“	სასოფლო სამეურნეო.ბოსტნეულის სათბური
22	32.03.49.484		შპს „ჯი თი ემ გრუპ“	ფეროშენადნობთა ქარხანა

ნახაზი N7. საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით არსებული მიწის ნაკვეთები



ნახაზი N8. საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით არსებული მიწის ნაკვეთები



ნახაზი N9 საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით და ატმოსავლეთით არსებული მიწის ნაკვეთები



### 3. დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური პირობები.

საპროექტო საწარმოს ტექნიკური პირობები შემდეგია:

დაკავებული მიწის ფართობი - 97231 მ<sup>2</sup>

განაშენიანების ფართობი 70%-მდე.

საპროექტო წარმადობა: 415000 ტ. ფოლადის სხმული, 400000 ტ. სხვადასხვა კვეთის არმატურა.

მეტალურგიულ საამქროში გათვალისწინებულია სამი იდენტური ინდუქციური ღუმელის დამონტაჟება, თითოეულის საათური წარმადობა 27 ტ. პერსპექტივაში დაგეგმილია მათი ჩანაცვლება 64 ტ/სთ წარმადობის ერთი ელექტრორკალური ღუმელით.

არმატურის გლინვის უბანზე გათვალისწინებულია ერთი ხაზის დამონტაჟება, წელიწადში 400 000 ტ-ის წარმადობით, რომელსაც მოემსახურება ერთი გამაცხელებელი ღუმელი.

საწარმოს საპროექტო მწარმოებლურობა მოცემულია N4 ცხრილში:

ცხრილი 4

სამუშაო დღეთა რაოდენობა		330
ნაგლინის ოდენობა	ტ/წელ	400 000
<b>თხევადი ლითონის რაოდენობა</b>		
ინდუქციური ღუმელების პირობებში	ტ/წელ	423 000
ელექტრორკალური ღუმელის პირობებში	ტ/წელ	305 000
<b>ნამზადის რაოდენობა</b>		
ინდუქციური ღუმელების პირობებში	ტ/წელ	415 000
ელექტრორკალური ღუმელის პირობებში	ტ/წელ	300 000
<b>კაზმის რაოდენობა</b>		
ინდუქციური ღუმელების პირობებში	ტ/წელ	485 000
ელექტრორკალური ღუმელის პირობებში	ტ/წელ	315 000

### 4. გამოყენებული ნედლეული და მასალები

საწარმოს მოსაწყობად აუცილებელია მიწის რესურსები. დაპროექტება ხდება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკ. კოდები N32.03.49.581; N32.03.49.046; N32.03.49.483. ჯამური ფართობი 97231 მ<sup>2</sup>.

მშენებლობის ეტაპზე საჭიროა სხვადასხვა სამშენებლო მასალები (მათ შორის: არმატურა, ბეტონი, პროფილირებული თუნუქი, ბეტონის ნაკეთობები და სხვა), რომელთა შესყიდვა მოხდება უახლოესი შესაბამისი პროფილის საწარმოებიდან.

ექსპლუატაციის ეტაპზე, საწარმოს ძირითად ნედლეულს წარმოადგენს რკინის ჯართი მეტალურგიული საამქროსათვის და ფოლადის ოთხკუთხა კვეთის სხმული (ნამზადი), არმატურის საამქროსათვის.

რკინის ჯართი საწარმოში შემოიზიდება ავთოთვითმცლელებით, ადგილობრივი ჯართის შემგროვებელი პუნქტებიდან, სათანადო ხელშეკრულებების საფუძველზე. ნავარაუდევია წელიწადში 315 000 დან 485 000 ტ.-მდე ჯართის გადამუშავება.

მეტალურგიულ წარმოებაში სათანადო ხარისხის სხმულის მისაღებად საჭიროა სხვადასხვა მასალებისა და აღმდგენების დამატება, რომელთა შექმნა განხორციელდება მოთხოვნილების შესაბამისად უახლოესი ობიექტებიდან.

ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, საჭიროა შემდეგი სახეობისა და რაოდენობის დანამატები:

#### **ელექტრორკალურ ღუმელზე:**

გამომწვარი კირი-36კგ/ტ;

მაგნეზიტი-3,2კგ/ტ;

ანტრაციტი-12კგ/ტ;

ელექტროდი-1,3კგ/ტ;

ღუმელის წიდა 159-170კგ/ტ

#### **ციცხვი-ღუმელზე**

მეტალურგიული კირი-12კგ/ტ;

ფეროსილიციუმი-0,127კგ/ტ;

ფეროსილიკომარგანეცი-8,83კგ/ტ;

ელექტროდი-0,456კგ/ტ;

#### **უწყვეტი ჩამოსხმის მანქანაზე**

მეორადი ალუმინი-0,156კგ/ტ

გლინვის საამქროს ძირითადი ნედლეული -ფოლადის სხმული (ნამზადი) იწარმოება სადნობ უბანზე ან შემოიზიდება სხვა მეტალურგიული საწარმოებიდან.

საწარმოში როგორც დნობის ასევე გლინვის პროცესში გამოიყენება ტექნიკური წყალი ღუმელებისა და არმატურის გასაგრილებლად. ტექნიკური წყლის აღება გათვალისწინებულია მიწისქვეშა ჰორიზონტიდან, სათანადო ლიცენზიის საფუძველზე.

დნობის პროცესში სითბოს მიღება ხდება ელ.ენერგიის ხარჯზე, რომლის შესყიდვა განხორციელდება ენერგო პრო გორჯიას უახლოესი ქვესადგურიდან, ხელშეკრულების საფუძველზე.

გლინვის უბანზე ფოლადის ნამზადის გასახურებლად გამოიყენება ბუნებრივი აირი, წარმოების ტექნიკური რეგლამენტის თანახმად 1 ტ. არმატურის საწარმოებლად საჭიროა 35 მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირი. ობიექტის გაზომომარაგება გათვალისწინებულია არსებული მაგისტრალური ქსელიდან, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტალზე საჭიროა ადამიანური რესურსები. უპირატესობა მიენიჭება ადგილობრივი კადრების გამოყენებას.

## 5. სამუშაო რეჟიმი და ადამიანური რესურსები

საწარმოს მუშაობის რეჟიმი იქნება 330 დღე წელიწადში, 24 საათი დღე-ღამეში. ძირითადი საამქრობი იმუშავებენ 24 საათიანი რეჟიმით, 3 ცვლით. ადმინისტრაცია 5 დღიანი სამუშაო კვირით და 8 საათიანი სამუშაო დღით.

ადამიანური რესურსების გამოყენება საჭიროა, როგორც მშენებლობის ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე. მშენებლობა გაგრძელდება 1 წლამდე ვადით, სხვადასხვა სამუშაოები შესრულდება დაქირავებული სამშენებლო კომპანიების მიერ, დასაქმებული ადამიანების რაოდენობა იქნება საშუალოდ 50-100 მდე, მათ მობილიზებას უზრუნველყოფს დაქირავებული სამშენებლო კომპანიები.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, საწარმოში სულ დასაქმებული იქნება 500 კაცი. მათგან 40 ადმინისტრაციული და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. 460 სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშები. საამქროებში თანამშრომლები იმუშავებენ 4 ბრიგადად - 3 ცვლაში, შრომის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

## 6. ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობები

პროექტით გათვალისწინებულია ერთი მთლიანი საწარმოო კორპუსის მშენებლობა, რომელიც გაყოფილი იქნება ორ საამქროდ: სადნობ და საგლინავ.


წარმოების პირველი ეტაპია ნედლეულის მომზადება, რომელიც განხორციელდება ღია ტერიტორიაზე, არმირებული ბეტონით დაფარულ მოედანზე.

ნედლეულის (ჯართის) მოსამზადებლად გამოყენებული იქნება საჭრელი, საპრესი დაზგები, ჯოჯგინა, გრეიდერული და მაგნიტური ამწეები. თითოეული მოწყობილობების რაოდენობა და სიმძლავრეები დაზუსტდება პროექტირების ეტაპზე.

საპროექტო საწარმოს ძირითადი ტექნოლოგიური უბნები და მოწყობილობები დატანილია გენგეგმაზე (ნახაზი N10). ნავარაუდებია შემდეგი უბნებისა და ძირითადი მოწყობილობების გამოყენება:

1. ჯართის განთავსებისა და დამუშავების უბანი;
2. სამი ინდუქციური ღუმელი;
3. ელექტრორკალური ღუმელი;
4. დნობის უბანი;
5. ნამზადის გაციების უბანი;
6. აირგამწმენდი სისტემა;
7. გაფრქვევის მილი;
8. გამაცხელებელი ღუმელი;
9. ბუნებრივი აირის წვის პროდუქტების გაფრქვევის მილი;
10. არმატურის საამქრო;
11. სასაწყობო ფართი;
12. მავთულის საამქრო;
13. წყლის მომზადებისა და მიწოდების საამქრო;
14. ზედაპირული ჩამდინარე წყლების სალექარი.





საწარმოს ყველა ტექნოლოგიური პროცესი, მათ შორის პროდუქციისა და დამხმარე მასალების საწყობები განთავსებული იქნება დახურულ შენობაში, ღია სივრცეში განთავსდება მხოლოდ ჯართის მიღებისა და წინასწარი დამუშავების (მომზადების) უბანი. ძირითადი საწარმოო უბნების გეგმა დატანილია ნახაზზე N11.

ჯართის მიღება-მომზადების უბნის მოწყობა დაგეგმილია ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ტერიტორიასთან მისასვლელი გზის მხარეს. უბნიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი განთავსებულია დასავლეთით, 360 მ-ის დაშორებით.

ჯართის მიღების უბნის დაკავებული ფართობი იქნება 1 ჰა, ტექნოლოგიური მოედანი მოპირკეთებული იქნება არმირებული ბეტონით, დასავლეთის მხრიდან შემოსაზღვრული იქნება მასიური კედლით.

საპროექტო უბნის ტერიტორიის წვეროთა კორდინატები მოცემულია ცხრილი N5-ში, ხოლო წვეროთა ნუმერაცია და დაშორება უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან ნახაზზე N12.

ცხრილი N5.

N	GPS კოორდინატები	
	X	Y
1	332907	4666527
2	332927	4666562
3	333016	4666502
4	333121	4666453
5	333090	4666405
6	333042	4666427
7	333047	4666444
8	333018	4666458
9	333007	4666443
10	332937	4666480
11	332949	4666507

ნახაზი N 11, ძირითადი საწარმოო უბნების გეგმა.



ნახაზი N12. ჯარის უბნის წვეროთა კოორდინატების ნუმერაცია და დაშორება უახლოესი მოსახლიდან.




## 7. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი შედგება ორი ძირითადი, დამოუკიდებელი ეტაპისაგან: ლითონის დნობა და გლინვა.

დნობის პროცესის ტექნოლოგიური სქემა მოცემულია ნახაზზე N13.

ნახაზი N13.



ფოლადის მისაღებად გამოსაყენებელი ჯართის მიღება-მომზადება მოხდება მოსამზადებელ უბანზე. მის შემადგენლობაში გათვალისწინებულია წნეხი-მაკრატლები და დამტვირთავი მოწყობილობები.

დამუშავებული ჯართი წინაწარმომქმნელ (კირი, დოლომიტი) დანამატებთან და ნახშირბადშემცველ მასალებთან ერთად მიეწოდება ინდუქციურ ლუმელში. გათვალისწინებულია 3 ინდუქციური ლუმელის მოწყობა, იმ ანგარიშით, რომ ერთდროულად იმუშავეს 2 ლუმელი და ჯამური საათური წარმადობა იქნება 54 ტ. ინდუქციური ლუმელის პარამეტრები მოცემულია ცხრილში 6.

ცხრილი 6. ინდუქციური ღუმელების პარამეტრები

N	პარამეტრის დასახელება	განზომილება	რაოდენობა
1	დნობის დრო	წუთი	60
2	გამომშვების დრო	წუთი	4
3	გაუთვალისწინებელი დრო	წუთი	3
4	სრული ციკლი	წუთი	67
5	ერთი ღუმელის საათური წარმადობა	ტ/წთ	27
6	ღუმელის მოცულობა	ტ	30
7	ერთდროულად მომუშავე ღუმელების რაოდენობა	ცალი	2

პერსპექტივაში ნავარაუდებია სამი ინდუქციური ღუმელის შეცვლა ერთი ელექტრორკალური ღუმელით, რომლის პარამეტრები მოცემულია ცხრილში 7.

ცხრილი 7. ელექტრორკალური ღუმელის პარამეტრები

N	პარამეტრის დასახელება	განზომილება	რაოდენობა
1	სამუშაო დღეთა რაოდენობა		330
2	სამუშაო საათების რაოდენობა	სთ	330×24=7920
3	ღუმელის მოცულობა	ტ	60
4	გამომშვების დრო	წთ	56
5	ღუმელის წარმადობა	ტ/სთ	38,5
6	გამომშვების ტემპერატურა	°C	1620
7	სიმძლავრე	ტ/წელ	305 000
8	წყლის ხარჯი	მ³/სთ	1300

გამდნარი ლითონი სადნობი ღუმელის ამობრუნებით გადმოსხმება ფოლადის ციცხვში და მიეწოდება 40ტ ტევადობის „ციცხვი-ღუმელს“, რომელშიც ნადნობის დამუშავების დრო შეადგენს 30 წთ. „ციცხვი-ღუმელზე“ დამუშავების პროცესში განჟანგვისა და ლეგირებისათვის ემატება შესაბამისი დანამატები (ფეროსილიკომანგანუმი, ფეროსილიციუმი, სილიციუმი, ალუმინი). შემდეგ, ნამზადის მისაღებად ლითონი გადაეცემა 6000 მმ რადიუსის უწყვეტი ჩამოსხმის მანქანას, რომელზედაც კრისტალიზატორების მეშვეობით ხდება ნამზადის მიღება, ერთდროულად შესაძლებელია სამი კრისტალიზაციის ხაზის ექსპლუატაცია (ანუ ნაკადების რაოდენობა შეადგენს 3-ს). თხევადი ლითონი გაივლის სათანადო კვეთის ჰორიზონტალურ მილში, რომელშიც გაგრილდება წყლის საშუალებით და იჭრება სათანადო სიგრძეზე. კრისტალიზატორის ვაზნის სიგრძე-900 მმ; მასში მოხვედრისას იწყება ლითონის გაციება წყლით (წყლის ხარჯი კრისტალიზატორზე-160მ³/სთ, საერთო მოცულობა კი 480 მ³/სთ.),რის შედეგადაც მიიღება კვადრატული კვეთის(130X130X12000მმ და 150X150X12000მმ ზომის) ნამზადი. ნამზადის მიღებით მთავრდება მეტალურგიული საამქროს ტექნოლოგიური ციკლი. მიღებული პროდუქცია საწყობდება მისთვის გამოყოფილ საცავში. საჭიროების შესაბამისად მიეწოდება გლინვის უბანს, ან რეალიზდება სხვა მომხმარებლებზე.

არმატურის მიღების ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს გამახურებელ ღუმელში ბუნებრივი აირის წვით ნამზადის 1200 °C-ზე მეტად (პლასტიურობის დონემდე) გახურებას და საგლინავ დგანზე მიწოდებას, რომელზეც იგი თანმიმდევრობით გაივლის რამდენიმე სხვადასხვა კვეთის თვალაკს. გახურებული ნამზადის მიწოდება ხდება ბიძგური გადაცემით,

გორგოლაჭებიანი ტრანსპორტიორით, ელექტროამძრავის საშუალებით ურთიერთმართობულ სიბრტყეებში მბრუნავი ლილვების მეშვეობით. ნამზადებიდან მიიღება საჭირო პროფილის და ზომის ნაგლინი, ფოლადის უცვლელი ქიმიური შემადგენლობის პირობებში. გლინვის პროცესში იცვლება ფოლადის კრისტალური მესერის სტრუქტურა. იგი იძენს ახალ სიმტკიცესა და ანტიკოროზიულ თვისებებს. ამ მიზნით ფოლადი არამარტო იწნეხება საგლინი ლილვებით, არამედ იძენს წინასწარ დამაბულობას. თვალაკების რაოდენობა და ზომები პირდაპირაა დამოკიდებული ნაგლინის ტიპსა და საბოლოო დიამეტრზე. საწარმოო ციკლის ბოლოს ხდება წყლის მეშვეობით წრთობა და ავტომატური მაკრატლებით ჭრა.

გამახურებელ ღუმელში ბუნებრივი აირის ხარჯი საორიენტაციოდ იქნება 35 მ<sup>3</sup> 1ტ ნამზადზე. ნამწვი აირების გაფრქვევა მოხდება ბუნებრივი წევით 30 მ სიმაღლის და 1600 მმ სიმაღლის მილით, რომელიც აღჭურვილი იქნება CO, SO<sub>2</sub>, NO<sub>2</sub> კონცენტრაციისა და ბუნებრივი აირის ხარჯის გამზომი გადამწოდებით.

მიღებული პროდუქცია იწყობა კონვეიერით, იკვრება საჭირო რაოდენობად, ეტიკეტირდება მარკის შესაბამისად. შეკრული და მარკირებული პროდუქცია განთავსდება საწყობებში.

## 8. ობიექტის წყალმომარაგება კანალიზაცია

საწარმოს მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე საჭიროა როგორც ტექნიკური ასევე სასმელ-სამეურნეო წყალი. ობიექტის წყალმომარაგება დაგეგმილია მიწისქვეშა ჰორიზონტიდან, რისთვისაც მოეწყობა საჭირო რაოდენობის ჭები და აღებული იქნება წყალსარგებლობის სათანადო ლიცენზიები.

მშენებლობის ეტაპზე წყლის გამოყენება მოხდება ძირითადად სამეურნეო მიზნისათვის, შესაძლებელია ზაფხულის პერიოდში საჭირო გახდეს სამშენებლო მოედნის მოშხეფვა ამტვერების შესამცირებლად.

სამეურნეო მიზნით საჭირო წყლის ხარჯი დამოკიდებული იქნება მშენებლობის პროცესში დასაქმებული ადამიანების რაოდენობაზე.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გამოყენება საჭიროა საწარმოო მიზნით, მეტალურგიულ საამქროში ღუმელების გასაგრილებლად, ნამზადის უწყვეტი ჩამოსხმის ხაზზე კრისტალიზატორის გაგრილების სისტემაში, გლინვის უბანზე ნაგლინის გასაგრილებლად.

სამივე შემთხვევაში მოწყობილი იქნება წყლის გამოყენების ბრუნვითი სისტემები. ღუმელების გაგრილების სისტემასა და კრისტალიზატორში გამოყენებული წყალი უნდა პასუხობდეს სათანადო მოთხოვნებს, ამიტომ საწარმოში მოეწყობა წყლის მომზადების მეურნეობა, სადაც მოხდება ტექნიკური წყლის წინასწარი დარბილება. ცხელი წყლისათვის მოეწყობა გამაგრილებელი სისტემა (ე.წ. შხეფსაცივარი), რის შემდეგაც წყალი ისევ დაბრუნდება სისტემაში. ბუნებრივი ობიექტიდან ტექნიკური წყლის აღება მოხდება მხოლოდ დანაკარგის შესავსებად.

გლინვის უბანზე ნაგლინის გაგრილების პროცესში გამოყენებული წყალი იკრებება სპეციალურად მოწყობილ შემკრებ ავზებში და მიეწოდება გამწმენდ ნაგებობას (სალექარს). გამწმენდში ტექნიკურ წყალს შორდება გლინვის დროს წარმოქმნილი რკინის ნაწილაკები, გაწმენდილი წყალი კვლავ ბრუნდება გლინვის პროცესში ხელმეორედ გამოსაყენებლად. ახალი წყალი სისტემაში ემატება დანაკარგის შესავსებად.

მნიშვნელოვანი იქნება ასევე წყლის ხარჯი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე სულ დასაქმებული იქნება 500 -მდე ადამიანი, მათგან

ყოველდღიურად იმუშავებს საშუალოდ 150 კაცი. საწარმოში მოეწყობა მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსო, საშხაპე. სამეურნეო დანიშნულებით წყალაღება მოხდება მიწისქვესა ჰორიზონტიდან, რაც შეეხება სასმელ წყალს შექმნილი იქნება შესაბამისი კომპანიებისაგან.

პროექტირების პროცესში დაზუსტდება თითოეულ უბანზე საჭირო ტექნიკური წყლის რაოდენობა, რომლის გათვალისწინებითაც მოხდება წყლის მომზადების და გაწმენდის უბნების გაანგარიშება, ასევე წყალაღების ლიცენზიის აღებისათვის სათანადო განაცხადის მომზადება.

ობიექტზე საწარმოო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება. საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლებისათვის მოეწყობა საასენიოზაციო ორმო, რომელიც პერიოდულად გაიწმინდება ხელშეკრულების საფუძველზე.

რაც შეეხება სანიაღვრე წყლის შეკრება-გაწმენდის ორგანიზებას, ტექნოლოგიური პროცესებიდან ღია სივრცეში განთავსდება მხოლოდ ჯართის მიღება-მომზადების უბანი. ჯართის განთავსება-მომზადების ბაქანი იქნება არმირებული ბეტონის, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სანიაღვრე წყალშემკრები სისტემით. სანიაღვრე წყლები მიეწოდება გამწმენდ ნაგებობას, ბუნებრივი წყლის ობიექტში ჩაშვება მოხდება მხოლოდ სათანადო გაწმენდის შემდეგ, არსებული კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

## 9. გამწმენდი ნაგებობები

### 9.1. აირგამწმენდი სისტემა.

მტვერდამჭერი სისტემა განკუთვნილია ღუმელში ჯართის ჩატვირთვისას, ინდუქციურ (შემდეგში ელექტრორკალური) ღუმელებში დნობისას, ციცხვი ღუმელიდან და უწყვეტი ჩამოსხმის მანქანებიდან წარმოქმნილი აირმტვერნარევის გაწოვისათვის. გაწოვილი აირნარევის გამაცივებელ მოწყობილობაში გავლის შემდეგ იგი ხვდება ციკლონში. აქედან ნაკადი გასაწმენდად მიეწოდება ქსოვილოვან სახელოიან ფილტრებში. საფილტრ მოწყობილობაში დაჭერილი მტვერი ტრანსპორტიორით მიეწოდება ბუნკერში.

სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფილი იქნება საათში 1000000 მ<sup>3</sup> აირის გაწოვა. მუშაობის პროცესის დინამიურად ცვალებადი პირობების გამო სისტემაში გამოყენებული იქნება მარეგულირებელი და ავარიული სარქველების სისტემა.

გაწმენდილი აირი მიეწოდება არანაკლებ 30 მ-ს სიმაღლის და 4 მ დამეტრის მილს, რომლის მეშვეობითაც გაიტყორცნება ატმოსფეროში.

პროექტირების პროცესში მტვერდამჭერების პარამეტრები შერჩეული იქნება იმგვარად, რომ მისი ეფექტურობა (გაწმენდის ხარისხი) იყოს არანაკლები 99%.



## 9.2. ჩამდინარე წყლის გამწმენდი სისტემა

საპროექტო საწარმოდან ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაიშვება მხოლოდ ატმოსფერული ნალექების შედეგად წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები. მისი ორგანიზებული შეკრება მოხდება ჯართის მიმღებ და მოსამზადებელ უბანზე.

სანიაღვრე წყლები დაბინძურებული იქნება შეწონილი ნაწილაკებით, მოსალოდნელია ასევე ნავთობპროდუქტების შემცველობა.

სანიაღვრე წყლების გასაწმენდად დაგეგმილია მექანიკური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, რომელიც შედგება ნავთობპროდუქტების დამჭერისა და ჰორიზონტალური სალექარისაგან. გამწმენდი ნაგებობის ზომების გაანგარიშება მოხდება საწარმოო მოედნის ფართობისა და (სავარაუდოდ 10 000 მ<sup>2</sup>) ნალექის მოსალოდნელი მაქსიმალური რაოდენობის შესაბამისად. მონაცემები აღებული იქნება სამშენებლო კლიმატოლოგიის მიხედვით.

გზშ-ს ეტაპზე დაზუსტდება სანიაღვრე წყლების მოსალოდნელი ხარჯი, შესაბამისად გაანგარიშებული იქნება გამწმენდი ნაგებობის მუშა პარამეტრები და ჩამდინარე წყლების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების მნიშვნელობები.

## 10. საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების ანალიზი

საწარმოს განთავსების ადგილის, ტექნოლოგიისა და გამოყენებული მანქანა დანადგარების სწორად შერჩევაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, როგორც ეკონომიკური საქმიანობის წარმატება ასევე გარემოს დაცვა. ამიტომაც „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად ანგარიში უნდა შეიცავდეს პროექტის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტების ანალიზსა და ახალი ვარიანტების ფორმირების წესის აღწერას. ამ პროცესში გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების თეორიისა და სისტემური ანალიზის ზოგადი სქემა.

პროექტის ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, როგორც წესი, გულისხმობს განთავსების ტერიტორიის, ტექნოლოგიის, სიმძლავრეებისა და არქმედების ალტერნატივების განხილვას.

რეგულირების გავლენის შეფასების პრაქტიკული სახელმძღვანელოს შესაბამისად, ნებისმიერი რეგულირების გავლენის (მათ შორის გარემოზე ზემოქმედების) შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია იდენტიფიცირებული პრობლემის მოგვარების შესაძლებლობის განხილვა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ალტერნატივების გამოვლენა/ჩამოყალიბება

ალტერნატივების შეფასების მთავარი მიზანია მათი გავლენის იდენტიფიცირება და ანალიზი - თუ რა გავლენას ახდენს თითოეული ალტერნატივა ეკონომიკური, სოციალური თუ გარემოს კუთხით ყველა იმ კომპონენტზე, რომელთაც ალტერნატივა შეიძლება შეეხოს.

ალტერნატივების ჩამოყალიბების ეტაპზე ხდება პრობლემის მოგვარების სხვადასხვა შესაძლო ვარიანტების გამოვლენა და მათი შედარებითი ანალიზის საფუძველზე იმ ალტერნატივის გამოკვეთა, რომელიც მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი გზა იქნება.

ალტერნატივების ჩამოყალიბების შემდეგ, თითოეული ალტერნატივა უნდა შეფასდეს, რათა გამოვლენილ იქნეს ის ალტერნატივა, რომელიც ყველაზე ეფექტურად და ნაკლები დანახარჯით

მოაგვარებს არსებულ პრობლემას და მიგვიყვანს მიზნის მიღწევამდე. ზოგადად, ყველა ალტერნატივას აქვს უპირატესობები და ნაკლოვანებები, რაც გამოიხატება ეფექტიანობასა და დანახარჯებში.

თითოეულ ალტერნატივას შესაძლოა ზეგავლენა ჰქონდეს ეკონომიკაზე, სოციალურ სფეროზე ან/და ეკოლოგიაზე. ეს ზეგავლენები მაქსიმალურად სიზუსტით უნდა იქნეს გაანალიზებული.

მაშინ როდესაც ყველა სახის ხარჯის და სარგებლის გამოხატვა რაოდენობრივი მაჩვენებლით შეუძლებელია, ალტერნატივების შედარებისას გამოიყენება მრავალკრიტერიუმის ანალიზი.

მრავალკრიტერიუმის ანალიზის დროს ალტერნატივები ფასდება სხვადასხვა კრიტერიუმით და ხდება ვარიანტების შედარება. ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც რთულია ხარჯისა და სარგებლის ფულად ერთეულში გამოსახვა. მრავალკრიტერიუმის ანალიზი აფასებს სცენარების დადებით და უარყოფით გავლენებს, რომლებიც მოიცავს რაოდენობრივ, თვისობრივ და ფულად მონაცემებს.

მრავალკრიტერიუმის ანალიზის დროს, როგორც წესი, ალტერნატივები შემდეგი ძირითადი კრიტერიუმებით ფასდება:

**ეფექტურობა** - რამდენად პასუხობს თითოეული ალტერნატივა გადასაჭრელ ამოცანებს;

**ზეგავლენები** - ალტერნატივების შეფასება ეკონომიკური, საზოგადოებრივი, გარემოსდაცვითი გავლენის კუთხით;

**კონკრეტული ზეგავლენები** (საჭიროების შემთხვევაში) - გავლენა მცირე და საშუალო საწარმოებზე, ფუნდამენტური უფლებების დაცვის ხარისხი, ზეგავლენა მოწყვლად ჯგუფებზე და სხვა;

**ეფექტიანობა** (ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი და ხარჯ-ეფექტიანობის ანალიზი).

კრიტერიუმები შემდგომ უნდა დაიშალოს ქვეკრიტერიუმებად, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად კომპლექსურია ალტერნატივა და მისგან გამოწვეული ზეგავლენა.

მაგალითად, გარემოზე ზეგავლენის ქვე-კრიტერიუმები შეიძლება იყოს: წყლის რესურსების (მდინარის, ზღვის, ტბის) დაცვა, გამონახობის შემცირება, ნიადაგის ეროზიის პრევენცია, ტყის მდგრადი განვითარება და სხვა.

ალტერნატივის შერჩევის მთავარი პროცესია ალტერნატივების შედარება.

**ალტერნატივების შედარება მიზნად ისახავს, შეირჩეს ის ალტერნატივა, რომელიც ყველაზე ოპტიმალური და ნაკლებდანახარჯიანია მიზნის მისაღწევად.**

## 10.1. ნულოვანი, ანუ არქმედების ალტერნატივა

ე.წ. ნულოვანი ვარიანტის განხილვა გულისხმობს დაგეგმილი საქმიანობის არ განხორციელებას, მოცემულ შემთხვევაში საქმიანობის არ განხორციელებით არ გვექნება გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე უარყოფითი ზემოქმედება, თუმცა აღნიშნული უარყოფითად აისახება ქვეყნის სოციალურ ეკონომიკურ განვითარებაზე.

საქმიანობის არ განხორციელების შემთხვევაში აუთვისებელი, გამოუყენებელი დარჩება ტერიტორია, სადაც დაგეგმილია საწარმოს მოწყობა (ტერიტორია 20 წელზე მეტია უფუნქციოა,

მასზე დარჩენილი იყო შენობათა ნანგრევები და ამორტიზებული შენობები, რომლებიც გარემო პირობების გავლენით განაგრძობდნენ ნგრევას, ნიადაგის ფენის არ არსებობის გამო მასზე ბალახის საფარიც ვერ განვითარდა.), ვერ დასაქმდება 500 ადამიანი; შიდა ბაზარზე ნაკლები იქნება ადგილობრივი წარმოების პროდუქტი, მოიმატებს ბაზრის იმპორტზე დამოკიდებულება; შეფერხდება ქვეყანაში მნიშვნელოვანი ინვესტიციის შემოსვლა და საექსპორტო პოტენციალი; შიდა ბაზარზე ხელი შეეშლება ასევე იმ დარგების განვითარებას, რომელიც სტიმულირებაც დაკავშირებულია საწარმოს მოწყობაზე (ადგილობრივი წარმოების მასალების, რესურსებისა და მომსახურებების შესყიდვა). ყოველივე ზემოაღნიშნული მნიშვნელოვნად შეაფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და სოციალური ფონის გაუმჯობესებას.

ამჟამად საქართველოში მიმდინარე სამშენებლო ბუმმა თავისთავად გაზარდა მოთხოვნილება საშენ მასალებზე, მათ შორის არმატურაზე. დღეის მდგომარეობით, ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმპორტირებულ არმატურას. საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციით შესაძლებელია ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკმაყოფილება, ასევე პროდუქციის ექსპორტზე გატანა. აღნიშნული ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივი სამშენებლო ინდუსტრიის, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესი მნიშვნელოვნად გაზრდის სამუშაო ადგილებს, ასევე ასტიმულირებს შიდა ბაზრის ფუნქციონირებას და დამატებით ქმნის სამუშაო ადგილებს.

თუ ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის დროს დაცული იქნება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მთხოვნები, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება იქნება დაბალი, სოციალური და ეკონომიკური სარგებელი კი მნიშვნელოვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გადაწყვეტილება მიღებული იქნა საქმიანობის განხორციელების სასარგებლოდ.

## 10.2. საწარმოს განთავსების ალტერნატივა

საწარმოს განთავსების ტერიტორიის შერჩევა განხორციელდა პროექტის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე. მიწის შერჩევის დროს გათვალისწინებული იქნა შემდეგი კრიტერიუმები 1. მიწის კატეგორია; 2. მდებარეობა (ზონა); 3. დასახლებულ პუნქტთან დაშორება; 4. არსებული ინფრასტრუქტურა და სხვა.

ტერიტორიების შერჩევისას განხილული იყო 3 ვარიანტი:

1. პირველი ალტერნატიული მიწის ნაკვეთი (ნახაზი N14), საკ კოდი N33.09.43.427, დაზუსტებული ფართობი 196424 მ<sup>2</sup>. განთავსებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის, ჩოლაბურის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტერიტორიამდე მისასვლელი გრუნტის გზა, სიგრძით 2,7 კმ. შედის სატრანსფორმატორო ქვესადგური „კოხრას“- მიმდებარე ტერიტორიიდან.

მიწის ნაკვეთი განთავსებულია მდ. ჩოლაბურის მარცხენა სანაპიროზე, მდინარის პირველ ტერასაზე.

ტერიტორიის საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 165 მ-ით (ნახაზი N15).

ნაკვეთის დასავლეთით განთავსებულია შპს „ჩოლაბურის“ ქვიშა-ხრემის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო და შპს „მარინი“-ს ასფალტის საწარმო.

ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით უშუალოდ ესაზღვრება მდ. ჩოლაბურის კალაპოტი, მდინარის მეორე ნაპირზე განთავსებულია შპს „ჯეომეტალის“ მეტალურგიული საწარმო, ბეტონის კვანძი და სხვა საწარმოები.

სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და მსხვილფეხა პირუტყვის ფერმა. სამხრეთით განთავსებულია ასევე გრუნტის გზა, საიდანაც შესაძლებელია განსახილველ ტერიტორიამდე მისასვლელი გზის მოწყობა ფერმის ტერიტორიაზე ან შპს ჩოლაბურის საწარმოს ტერიტორიაზე გავლით.

განსახილველი მიწის ნაკვეთი მდებარეობს მომიჯნავე ნაკვეთებთან შედარებით ჰიფსომეტრულად დაბალ ნიშნულზე, არცერთი მხრიდან არ არის მოწყობილი შესასვლელი სამანქანო გზა (სურათი N13, 14).

ტერიტორიის ზედაპირი არაერთგვაროვანია, შეინიშნება მიწის ბორცვები, დაფარულია ბალახოვანი მცენარეებით. ტერიტორიის ნაწილზე დგას წყალი, რომელსაც მეზობელი საწარმოები იყენებენ წყალმომარაგების მიზნით (სურათი 15).

განსახილველი მიწის ნაკვეთის განთავსება მოცემულია ნახაზი N16-ზე.



სურათი N13 ტერიტორიამდე მისასვლელი შპს „ჩოლაბურის“ ტერიტორიიდან




სურათი N14 ტერიტორიამდე მისასვლელი გზა ფერმის მხრიდან



სურათი N15. განსახილველ ნაკვეთზე წყლის სატუმბი სადგური.

ნახაზი N14.





2. მეორე ალტერნატიული (შემოთავაზებული) მიწის ნაკვეთი საკ. კოდი N32.02.31.019, დაზუსტებული ფართობი 178001 მ<sup>2</sup>. განთავსებულია სოფ. პირველი სვირის ტერიტორიაზე. მდ. ყვირილას მარცხენა სანაპიროზე. ნაკვეთი კერძო საკუთრებაშია და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა (გამოიყენება ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად).

ცენტრალური გზიდან ტერიტორიაზე მისასვლელი გზა (სიგრძე 15 კმ.) შედის სვირის გადასახვევიდან, ორი დასახლებული პუნქტის გავლით. ხოლო უშუალოდ განსახილველ მიწის ნაკვეთამდე, ახალი სვირის დასახლებიდან მისვლა შესაძლებელია გრუნტის გზით (სიგრძით 3,5 კმ), რომელიც გაივლის სარკინიგზო მაგისტრალის გზაგამტარი ხიდის ქვეშ (სურათი N16).

ტერიტორია ვაკე რელიეფისაა (სურათი N17), ირგვლივ განთავსებულია სასოფლო-სამეურნეო-დანიშნულების სავარგულები. ნაკვეთი საჭიროებს კატეგორიის შეცვლას, მშენებლობის დაწყებამდე მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-დასაწყობებას.

ტერიტორიის განთავსება მოცემულია ნახაზებზე N14, N15 და N16.


ტერიტორიიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილი შეადგენს 650მ-ს (ნახაზი18).



სურათი N16. ტერიტორიამდე მისასვლელი გრუნტის გზა



სურათი N17. განსახილველი ტერიტორია



ნახაზი N18. ტერიტორიამდე მისასვლელი გრუნტის გზა.



3. მესამე შემოთავაზებული ალტერნატიული მიწის ნაკვეთი განთავსებულია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. არგვეთას ტერიტორიაზე, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს, გზიდან 250 მ-ში, შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის მეტალურგიული საწარმოს ჩრდილოეთით. განსახილველი ტერიტორია შედგება სამი



ნაკვეთისაგან, საკადასტრო კოდიები N32.03.49.581;N32.03.49.046; N32.03.49.483; ჯამური ფართობი შეადგენს 97231 მ<sup>2</sup>. ნაკვეთები არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა (ნახაზი N2).

მიწის ნაკვეთი ახლოსაა ცენტრალურ საავტომობილო გზასთან, უახლოესი რკინიგზის სადგური დაშორებულია 740 მ-ით. ტერიტორიასთან ახლოს შემოდის სარკინიგზო ჩიხი. ტერიტორიასთან განთავსებულია ელექტროქვესადგური. ნაკვეთის განთავსება მოცემულია ნახაზებზე N3 და N4-ზე.

ალტერნატივების ანალიზის და შედარების დროს მიღებული იქნა შემდეგი დასკვნები:

1. პირველი ალტერნატიული მიწის ნაკვეთი განთავსებულია სამრეწველო ზონაში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, თუმცა არ არის მოწყობილი ნაკვეთამდე შესასვლელი გზა, საწარმოს მოსაწყობად საჭიროა გზის შეყვანა ან მდინარეზე ხიდის აშენება (რაც იმდენად დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რომ მნიშვნელოვნად გააძვირებს პროექტის ღირებულებას, გახდის მას არარენტაბელურს). ტერიტორიის დიდი ნაწილი დაფარულია წყლით, საჭიროა წყლის დგომის მიზეზის დადგენა და შესაძლებლობის შემთხვევაში დაშრობა. წყლის დაშრობა უარყოფითად აისახება უკვე არსებულ სამეწარმეო ობიექტებზე. ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ნაკვეთს უშუალოდ ესაზღვრება მდ. ჩოლაბური, შეინიშნება სანაპირო ზოლის ეროზია, საწარმოს მოწყობის შემთხვევაში საჭიროა ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება, რაც ასევე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტია და საჭიროებს მნიშვნელოვან დანახარჯებს. ნაკვეთი მდინარის პირველ ტერასაზეა განთავსებული, დიდი ალბათობით მოსალოდნელია დატვირთული იყოს წიაღისეულით, მდინარეული ქვიშა-ხრებით. ცენტრალური გზიდან არსებული გრუნტის გზა დაზიანებულია (სურათი 18), ტერიტორიამდე მისაყვანია ელექტრო მომარაგების ხაზი.

ნაკვეთის გამოყენების დადებითი მხარეებია: 1. მიწის კატეგორია, 2. სამეწარმეო ზონაში განთავსება.

უარყოფითი მხარეებია: 1. მისასვლელი გზის არ არსებობა; 2. ტერიტორიის მიმდებარედ გამავალი გრუნტის გზის ცუდი მდგომარეობა; 3. ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხრიდან მდინარის ნაპირსამაგრი ზოლის მოწყობის საჭიროება; 4. სასარგებლო წიაღისეულით დატვირთვა; 5. ტერიტორიის არაერთგვაროვანი ზედაპირი, დაჭაობება; 6. უკვე არსებულ საწარმოებზე უარყოფითი ზემოქმედება.

სურათი N18



2. მეორე ალტერნატიული მიწის ნაკვეთი ვაკე რელიეფისაა, ფართობი და ფორმა ხელსაყრელია მშენებლობისა და ტექნოლოგიური პროცესების გამართვისათვის. თუმცა ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, არჩევის შემთხვევაში საჭიროა კატეგორიის შეცვლა. მშენებლობის დაწყებამდე საჭიროა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-დასაწყობება ((ფაქტიურად განუსაზღვრელი ვადით), სავარაუდო დათვლებით, ჰუმუსოვანი ფენის ღირებულება შეადგენს 8010045 ლარს) ტერიტორიამდე მისასვლელად საჭიროა ორო დასახლებული პუნქტის გავლა. პირველი დასახლებულ პუნქტში გადის ასფალტით დაფარული გზა, გზიდან საცხოვრებელი სახლების დაშორება შეადგენს 3-დან 35 მ-მდე (სურათი N19,20; ნახაზი N19). მეორე დასახლებულ პუნქტში გადის გრუნტის გზა, რაც ზრდის უარყოფითი გავლენის რისკს, გზიდან საცხოვრებელი სახლების დაშორება 18-დან 40 მეტრამდეა (ნახაზი N20). არ არის მოწყობილი არანაირი ინფრასტრუქტურა. ამასთან ზესტაფონი-როდინოულის გზიდან ტერიტორიამდე მისასვლელი 3,5 კმ-მდე გრუნტის გზა გადის ცენტრალური სარკინიგზო მაგისტრალის ხიდის ქვეშ, გზაგამტარი უშუალოდ ესაზღვრება მდინარის კალაპოტს, თან ხიდის ორივე მხარეს მკვეთრი მოსახვევია შეუძლებელია გაბარიტული ავტოტრანსპორტის გავლა.

მეორე ნაკვეთის გამოყენების დადებითი მხარეებია: 1. ტერიტორიის დიდი ფართობი და რელიეფი; 2. მიწის ნაკვეთიდან დასახლებული პუნქტის დაშორება.

უაყოფითი მხარეებია: 1. მისასვლელი გზის მოსახლეობის სიახლოვე (უშუალოდ ორ დასახლებულ პუნქტში გავლა); 2. მიწის სასოფლო-სამეურნეო კატეგორია, მნიშვნელოვანი რაოდენობის ჰუმუსის დაკარგვა; 3. ტერიტორიის განთავსება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ზონაში; 4. ინფრასტრუქტურის არ არსებობა; 5. ნაკვეთის დაშორება ცენტრალური საავტომობილო გზიდან.

სურათი N19





ნახაზი N19. პირველი სვირის ტერიტორია





3. მესამე ალტერნატიული ტერიტორია განთავსებულია სამრეწველო ზონაში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა. ტერიტორიაზე გასულ საუკუნეში განთავსებული იყო რკინიგზის მომსახურების ობიექტები. ძველი შენობა-ნაგებობების უმეტესობა დანგრეულია, ტერიტორიის უმეტესი ნაწილი დაფარულია ტექნოგენური გრუნტით და სამშენებლო ნარჩენებით. არ შეინიშნება ნიადაგის ფენა. ტერიტორიაზე შედის ასფალტით დაფარული გზა, მიმდებარედ შემოდის სარკინიგზო ჩიხი, განთავსებულია ენერგოპრო ჯორჯიას ელ. მომარაგების ქვესადგური. ტერიტორია მოსახერხებელია სატრანსპორტო გადაზიდვებისათვის. მისაწვდომია (მოწყობილია ან ახლოსაა) საჭირო ინფრასტრუქტურა. ნაკვეთის საზღვრიდან, დასავლეთით, უახლოესი მოსახლე დაშორებულია 40 მ-ით, თუმცა ტერიტორიას აქვს წაგრძელებული ფორმა (აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ), საზღვრებს შორის მანძილი 545 მ-ია.

ნაკვეთის გამოყენების დადებითი მხარეებია: 1. მიწის კატეგორია და მდგომარეობა; 2. მისასვლელი გზის მოხერხებულობა და ცენტრალურ გზასთან სიახლოვე; 3. განთავსება სამრეწველო ზონაში, წლების წინ სამეწარმეოდ გამოყენებულ ტერიტორიაზე; 4. ტერიტორიაზე საასრებლო წიაღისეულის არ არსებობა; 5. საწარმოსათვის საჭირო ინფრასტრუქტურის (ელ ენერგია, გზა, რკინიგზა,) სიახლოვე.

უაყოფითი მხარეებია: 1. დასახლებულ პუნქტთან სიახლოვე (დასავლეთის მხრიდან).

ალტერნატივების შედარების შედეგად, გადაწყვეტილება მიღებული იქნა მესამე ალტერნატიულ ვარიანტის სასარგებლოდ, იმ პირობებით, რომ საწარმოს პროექტირებისა და მოწყობის დროს გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე მოწყობილობები, განლაგდება დასავლეთის საზღვრიდან შეძლებისდაგვარად დიდ მანძილზე, გათვალისწინებული იქნება ყველა შემარბილებელი ღონისძიება, რაც საჭიროა უახლოეს მოსახლეზე უარყოფითი

ზემოქმედების მინიმუმაციისათვის. აღნიშნულის შემდეგ ინვესტორის მიერ განხორციელდა ინვესტიციისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის შესყიდვა.

### 10.3. ტექნოლოგიური ალტერნატივები

პრაქტიკაში ცნობილია ფოლადის დნობის მეთოდები

- მარტენის მეთოდი;
- ელექტროფოლადსადნობი მეთოდი;
- ჟანგბად-კონვერტორული მეთოდი.

✓ **მარტენის მეთოდი ითვალისწინებს** სპეციალური ღუმელების გამოყენებას რომელთაც შეუძლიათ ნედლეული გაახურონ 2000°C-მდე. ლეგირებული ფოლადის წარმოებისას შესაძლებელია სხვადასხვა მინარევების დამატებით იშვიათი შემადგენლობის ფოლადის მიღება.

მარტენის მეთოდით ფოლადის გამოდნობის **უპირატესობაა:**

- 1) დიდი რაოდენობით რკინის ჯართის გადამუშავების შესაძლებლობა;
- 2) მცირე რაოდენობის ლითონის ნამწვის (угар железа);
- 3) მოცემული შემადგენლობის მაღალხარისხიანი ფოლადის მიღება.

**მეთოდის უარყოფითი მხარეებია:**

- 1) დაბალი წარმადობა;
- 2) საწვავის დიდი ხარჯი;
- 3) მაღალლეგირებული და სპეციალური ფოლადის მიღების სირთულე დნობის არასაკმარისი ტემპერატურის გამო.

✓ **ელექტროფოლადსადნობი მეთოდი.**

მაღალხარისხოვანი მასალის მისაღებად ფოლადის წარმოება ხდება ელექტროღუმელებში. ნედლეულის გასაცხელებლად ელექტროენერჯის გამოყენებით შესაძლებელია ზუსტად გაკონტროლდეს ჟანგვის პროცესი და წიდის წარმოქმნა. აღნიშნული ტექნოლოგია იძლევა მავნე ნივთიერებების (მაგალითად ფოსფორის და გოგირდის) შემცირების შესაძლებლობას.

**მეთოდის უპირატესობებია:**

- 1) ელექტროღუმელის საჭირო ტემპერატურამდე სწრაფი გახურება;
- 2) ადვილია ღუმელის ტემპერატურის რეგულირება;
- 3) დნობის მაღალი ტემპერატურა (მეტი 2000°C) იძლევა საშუალებას გამოვადნოთ ძნელადდნობადი კომპონენტების (ქრომი, მოლიბდენი, ვოლფრამი და სხვ.) მაღალი შემცველობის შენადნობები;
- 4) ელექტროდენის პარამეტრების ცვლილების საფუძველზე ტემპერატურის რეგულირების შესაძლებლობა და ღუმელის მოცულობაში საჭირო არის (მჟანგავი, აღმდგენელი, ნეიტრალური ან ვაკუუმის) შექმნა. ეს საშუალებას იძლევა მივიღოთ ნებისმიერი ქიმიური შემადგენლობის მაღალი ხარისხის ფოლადი. ელექტროღუმელები არის ინდუქციური და რკალური.

**მეთოდის უარყოფით მხარეს** შეიძლება მივაკუთვნოთ ელექტროენერჯის დიდი ხარჯი.

✓ **ჟანგბად-კონვერტორული მეთოდის დროს**, ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმისას ინტენსიურად მიმდინარეობს ჟანგბადის აქტიური შებერვა.

### **მეთოდის უპირატესობები:**

- 1) ჟანგბადის კონვერტორში შეიძლება პროცესის შეჩერება ნახშირბადის შემცველობის მოცემულ დონეზე და სხვადასხვა მარკის (გარდა მაღალლეგირებულისა) ფოლადის მიღება;
- 2) მიღებული ფოლადის ხარისხი ანალოგიურია მარტენის ფოლადის;
- 3) მაღალი წარმადობა. ჟანგბადის კონვერტორული მეთოდის წარმადობა შეადგენს საათში 400 ტ-ს, მარტენის ლუმელის კი 80-100 ტ/სთ.

### **მეთოდის უარყოფითი მხარეები:**

- 1) დიდი რაოდენობით (10%-მდე) ლითონის ნარჩენი;
- 2) შეუძლებელია მხოლოდ რკინის ჯართის გადამუშავება;
- 3) მოცემული ქიმიური შემადგენლობის ფოლადის მიღების შეუძლებლობა;
- 4) მაღალლეგირებული ფოლადის მიღების შეუძლებლობა. ჟანგბად-კონვერტორული მეთოდით გამოდნება მხოლოდ ნახშირბადშემცველი და დაბალლეგირებული ფოლადის მიღება;
- 5) დნობის პროცესს თან დევს დიდი რაოდენობის მტვრის გამოყოფა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შერჩეული იქნა ყველაზე გამართლებული ელექტროფოლადსა და დნობის მეთოდი (ინდუქციური და ელექტრორკალური). ამ ორ მეთოდს შორის უპირატესობა მიენიჭა ინდუქციურ ლუმელს მისი მცირე გაბარიტისა და წარმადობის გამო. იმის გასთვალისწინებით, თუმცა საწარმო პერსპექტივაში გეგმავს ელექტრორკალური ლუმელების გამოყენებას. მოეწეება ერთი ელექტრორკალური ლუმელი, რომელიც დროთა განმავლობაში შეცვლის ინდუქციურ ლუმელებს.

## **10.4. მწარმოებლურობის შემცირება-გაზრდის ალტერნატივა**

საწარმოს სამუშაო რეჟიმისა და მწარმოებლურობის დაგეგმვა მოხდა შერჩეული ტექნოლოგიური მოწყობილობების სიმძლავრეების, ასევე ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრის წინასწარი შესწავლის საფუძველზე.

იმ შემთხვევაში თუ საწარმო გადაწყვეტს მწარმოებლურობის გაზრდას, გაივლის კანონით გათვალისწინებულ სათანადო პროცედურებს.

## **11. საწარმოს მოწყობა-ექსპლოატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება**

### **11.1. ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია და კრიტერიუმები**

სკოპინგის ანგარიშის მიზანია დადგინდეს როგორი და რა მნიშვნელობის ზეგავლენის მოხდენა შეუძლია დაგეგმილ საქმიანობას ფიზიკურ, ბიოლოგიურ და სოციალურ მდგომარეობაზე. დოკუმენტის მომზადების პროცესში შესწავლილ იქნება, საწარმოს მოწყობის ასევე ექსპლოატაციის პირობებში ტექნოლოგიური და ტექნიკური პარამეტრები, გარემოს

არსებული ფონური მდგომარეობა, გაანალიზდება გარემოზე შესაძლო ზეგავლენის წყაროების სახეები, მათი ზემოქმედების მასშტაბები და გავრცელების არეალი.

გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელია, ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე.

საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნების და დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე განხილული იქნება გარემოზე ზემოქმედების შემდეგი სახეები:

- ზემოქმედება ფიზიკურ გარემოზე - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუარესების ალბათობა, ხმაურის გავრცელება, წყლის გარემოს და ნიადაგის ხარისხობრივი მდგომარეობის ცვლილების რისკები, ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება;
- ზემოქმედება ბიოლოგიური გარემოზე - ფლორისა და ხე მცენარეული საფარის სახეობრივი და რაოდენობრივი შემცირება, ცხოველთა სამყაროს შეშფოთება, მათი საცხოვრებელი პირობების გაუარესება და პირდაპირი ზემოქმედების ალბათობა;
- დაცულ ტერიტორიებზე ნეგატიური ზემოქმედების შესაძლებლობა;
- გავლენის ზონაში მოქცეული ურბანული ზონის სოციალურ-ეკონომიკური პირობების ცვლილება, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მიმართულებით;
- ისტორიულ და არქეოლოგიური ძეგლებზე ნეგატიური ზემოქმედების ალბათობა.

ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული სახის ზემოქმედებებისთვის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება ინდივიდუალური მიდგომით, მაგალითად:

- **ატმოსფერული ჰაერში** მავნე ნივთიერებათა ემისიების და ხმაურის გავრცელების გაანგარიშება შესრულდება შესაბამისი მეთოდური და ნორმატიული დოკუმენტების გამოყენებით. ყველზე არახელსაყრელი პირობებისთვის განისაზღვრება საანგარიშო წერტილებში მოსალოდნელი ცვლილებები. გაანგარიშების პროცესში გათვალისწინებული იქნება საპროექტო არეალში არსებული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის გავრცელების წყაროების არსებობა. მიღებული შედეგები შედარდა საქართველოში მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებს;
- **წყლის გარემოსა და ნიადაგის** ხარისხობრივ მდგომარეობაზე ზემოქმედების მნიშვნელობის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება არსებული ხარისხობრივი მდგომარეობა, ზედაპირული წყლებიდან დაცილების მანძილი და საპროექტო საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების სპეციფიურობა;
- **ვიზუალურ-ლანდშაფტური** ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია ეფუძნება საქმიანობის განხორციელების ადგილის ლანდშაფტურ ღირებულებას და არსებულ მდგომარეობას. ზემოქმედების შეფასებისას გამოყენებული იქნება ექსპერტული მიდგომა;
- **გეოლოგიურ გარემოზე** ზემოქმედების შეფასებისას მნიშვნელოვანია არსებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო ღონისძიებების გაანალიზება;
- **ბიოლოგიურ გარემოზე** ზემოქმედების შეფასებისას გამოყენებული მიდგომა ითვალისწინებს არსებული ფონური მდგომარეობის და პროექტის განხორციელებით პროგნოზირებული ცვლილების ურთიერთშედარებას. ასევე გათვალისწინებული იქნა ობიექტის განთავსება (დაცილების მანძილები);
- ❖ ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი საკითხები:
  - გარემოზე, გრძელვადიანი ზემოქმედება პროექტის სასიცოცხლო ციკლის მთელს პერიოდში;

- ავარიული შემთხვევებით, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფებით გამოწვეული ზემოქმედება;
- დამხმარე ინფრასტრუქტურის მოვლის დროს მოსალოდნელი ზემოქმედება;
- ❖ ზემოქმედების შეფასებისას გამოყენებული იქნება შემდეგი მიდგომები:
  - ზემოქმედების დონე შეფასდება საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, მათ შორის ბუნებრივი და სოციალური გარემოს რეცეპტორების რაოდენობის, მნიშვნელოვნების და სენსიტიურობის გათვალისწინებით;
  - ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული იქნება საქართველოს და საერთაშორისო სტანდარტები და სახელმძღვანელო დოკუმენტები;
  - ზემოქმედების ყოველი ტიპისთვის აღიწერება ზემოქმედების დონის შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები და რის საფუძველზე ენიჭება მას ესა თუ ის დონე;
- ❖ ზემოქმედების მნიშვნელოვნება განისაზღვრება მოსალოდნელი შედეგებისა და ზემოქმედების ალბათობის გათვალისწინებით. მოსალოდნელი შედეგები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:
  - მასშტაბი/არეალი - ზემოქმედებით მოცული ტერიტორია (ლოკალური, რეგიონალური, ქვეყნის მასშტაბის);
  - ინტენსივობა - ზემოქმედების სიდიდე (ნულოვანი, დაბალი, საშუალო, მაღალი);
  - ხანგრძლივობა - დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ზემოქმედებას ექნება ადგილი (ნულოვანი, მოკლევადიანი, საშუალო ხანგრძლივობის, გრძელვადიანი);
- ზემოთ წარმოდგენილი სამი კრიტერიუმის კომბინაციით მოხდება ზემოქმედების შედეგების რანჟირება (უმნიშვნელო, ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი).
- ზემოქმედების შედეგების შეფასების შემდეგ განისაზღვრება ზემოქმედების ალბათობა, რისთვისაც განხილული იქნება შემდეგი რანჟირება: ნაკლებსავარაუდო, სავარაუდო, შესაძლებელი, გარდუვალი.
- რეცეპტორის მნიშვნელოვნება/ სენსიტიურობა განისაზღვრება მრავალი კრიტერიუმის გათვალისწინებით. გამოიყენება A-დან E-მდე შკალა (A = ძალიან დაბალი; B = დაბალი; C = საშუალო; D = მაღალი; E = ძალიან მაღალი).
- ზემოქმედების მნიშვნელოვნება განისაზღვრება ზემოქმედების შედეგისა და ალბათობის გათვალისწინებით, რანჟირების შემდეგი შკალის გამოყენებით: უმნიშვნელო, ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი ან ძალიან მაღალი. ზემოქმედების შეფასებისას ასევე განხილული იქნება მისი ხასიათი (დადებითი ან უარყოფითი), რეცეპტორის სენსიტიურობა და გარემოში მოსალოდნელი ცვლილების მასშტაბი.
- ზემოქმედების სიდიდის დასახასიათებლად გამოყენებული იქნება შკალა 1-დან 5-მდე. (1 = ძალიან დაბალი; 2 = დაბალი; 3 = საშუალო; 4 = მაღალი; 5 = ძალიან მაღალი). სიდიდის შეფასებისას მოხდება ზომის, მასშტაბის, ინტენსიურობის, გეოგრაფიული საზღვრების, ხანგრძლივობის, სიხშირის, შექცევადობის და ხასიათის გათვალისწინება.



## 11.2. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე.

